ცნობის ფურცელი

№ 2256 პარასკევი, 5 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2256

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ერთსვეტიანი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

2 მან. და 60 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე

ნატალია გაბუნია ცაგარლისა აუწყებს გარდაცვალებულის საყვარელის მეუღლის

ავქსენტი ცაგარლის

ნათესავთა და პატივის მცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქმნება კვირას, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში. (3—უ.—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს გარდაცვალებულის

ავქსენტი ცაგარლის

ნაცნობთა და პატივის მცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება კვირას, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში. (3—უ.—1)

კნეინა ერნესტინა დადიანისა, კნიაჟნა ეკატერინე ილიას ასული დადიანი, იულონ და იოსებ დადიანები და კნეინა ელენე წულუკიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ქმრისა, მეორე—მამისა და უკანასკნელნი—ძმისა

თავადის ილია იულონის ძის დადიანისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზე 7 სექტემბერს, სოფ. მოიდანახეს (ქუთაისის გუბერნია, ზუგდიდის მაზრა). (3—150—1)

ტფილისის ქალაქის თავი ამით აუწყებს, რომ 6 სექტემბერს, დილის 11 საათზე კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში, ფრანგების ქუჩაზე, გადახდილ იქმნება პანაშვიდი სულის მოსახსენებლად

ნიკოლოზ იაგორის ძის ზუბალაშვილის,

რომელმაც შესწირა თანხა ქალ. ტფილისში ღარიბთა თავშესაფარ სახლის ასაშენებლად. (2—1).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. ბედიანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

მ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. ბედიანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მრ. ვ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—10 ს.—12 საათ. კვირაობით შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების ავადმყოფობანი.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს [illegible] საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

რედაქციისაგან

მოვაგონებთ ხელის მომწერთ, რომ ვინც ადრესის გამოსაცვლელად დაწესებულ ფასს (50 კაპ.) არ წარმოადგენს, მას გაზეთს ახალის ადრესით ვერ გავუგზავნით. (რ. 2—2)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში. (10—2)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2 მდე. საღამო საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7 მდე. (წლ.)

კბილები
და მათი მოვლა შენახვა

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა. ფასი 40 კაპ.

იყიდება:

ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთანა და „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (5—5.—3)

საზღვარ-გარედ

მაკედონია. „დეილი ნიუს"-ს ატყობინებენ: მონასტირის ვილაეტში ოსმალები მეტად მხეცურად იქცევიან. ოსმალების უღვთოება კალმით არ აიწერება. სულ 3—5 ათასი ბოლგარი ეყოლებათ მოკლული. ოსმალეთის მთავრობის ოფიციალური ცნობები დაწვრილებით ჩამოსთვლიან ბოლგარების უღვთოებას, ოსმალების მხეცობაზე კი ხმასაც არ იღებენ. ეს ცნობები თავიდან ბოლომდე ტყუილია.—ინგლისელ ლიბერალების უმთავრესი გაზეთი მოწინავე წერილს უძღვნის მაკედონიის საქმეს და გულწრფელად სთხოვს ინგლისის მთავრობას, გულგრილად ნუ უცქერით მაკედონიის საქმეს, სხვა სახელმწიფოებს ნულარ მოუცდით და მაკედონელ რევოლიუციონერებს ბეჯითი დახმარება გაუწიეთო.

◆ ამას წინად ოსმალეთის ჯარმა სმილევი აიღო და დასწვა. გამოქცეულს სმილეველებს ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ"-ის კორესპონდენტისათვის სმილევის აღების ამბავი ამნაირად უამბნიათ: ოსმალმა ჯარის-კაცებმა და ბაში ბუზუკებმა უცებ ალყა შემოარტყეს სოფელს, ყველა მხრიდან ცეცხლი წაუკიდეს და მთელი სოფელი გადასწვეს. ვინც გაიქცა, ყველას თოფი ესროლეს და მოჰკლეს, ბაში ბუზუკებმა ცეცხლ-წაკიდებულ სახლების ძარცვა დაიწყეს; თავზარ დაცემული ხალხი ერთ ადგილას შეგროვდა; ჯარის-კაცები დაეცნენ ხალხსა და 200-მდე კაცი მოჰკლეს.

◆ აჯანყებული ბოლგარები მშვიდობიან ოსმალებს მაკედონიაში არას უშავებენ. ამას წინად ბორის სარაფოვმა ამაზე ბრძანება მისცა აჯანყებულთ რაზმებს, მშვიდობიან ოსმალებს ხმა არ გასცეთ და ხელი არ ახლოთო. ეხლა სარაფოვის ამხანაგს დამიან გრუევს პერისტერას მთიდან მიუწერია ხილმი-ფაშისათვის: გთხოვთ, თქვენ ჯარს მშვიდობიან ქრისტიანების ხოცვა დაუშალოთ, თორემ აჯანყებული ბოლგარებიც მუსულმანების ხოცვას დაიწყებენ. აქამდე, როგორც იცით, ჩვენ ხმას არა ვცემდით მშვიდობიან ოსმალებსაო. ამავე წერილში დამიან გრუევი ატყობინებს ხილმი-ფაშას, 5 ათასი ოყა დინამიტი მივიღეთო.

◆ მაკედონიის კომიტეტის მეთაურებმა ადრიანოპოლში ბერძნებს მოსთხოვეს, ბეჯითი დახმარება გაგვიწიეთ, რადგან ჩვენ საერთო მტერს—ოსმალეთს—ვებრძვით და ბერძნებისათვის კეთილის მეტი არა გვწადიანრაო.

ბოლგარია. მინისტრები ევქსინოგრადიდან სოფიაში დაბრუნდნენ. ევქსინოგრადში მინისტრები მთავარმა ფერდინანდმა დაიბარა საქმეებზე მოსალაპარაკებლად. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ის კორესპონდენტი სწერს: ომისა და ჯარის ამხედრების წინააღმდეგ ყველაზე მეტად სამხედრო მინისტრმა სავოვმა ილაპარაკა. მთავრობის ნამდვილი აზრი ამ საქმეზე ჯერ ნამდვილად არავინ იცის. მთავრობა ჯერ საზოგადო არჩევანს უცდის. ეს არჩევანი 1 ნოემბერს მოხდება, მთავრობაც, ალბად, არჩევანის შემდეგ გადასწყვეტს, როგორ მოიქცეს და რა გზას დაადგეს.

ერთი ბოლგარული გაზეთი იუწყება, ბოლგარიის დიპლომატიური აგენტი სტანჩევი (პეტერბურგშია აგენტად) ევროპის სატახტო ქალაქებში გაემგზავრა; უნდა გაიგოს, სხვა და სხვა მთავრობა რა თვალით უყურებს მაკედონიის საქმეს. სტანჩევი ეხლა ბერლინშია.

აქაური მაკედონელთ კომიტეტი ყოველ ღონესა ღონობს, რომ ბოლგარიის ხალხი მაკედონელ მებრძოლთ დაეხმაროს. ამ დღეებში ხალხმა მრავალი კრება მოახდინა და დაადგინა, მთავრობამ ჩვენ მაკედონელ თანამოძმეებს შემწეობა უნდა გაუწიოსო. მაკედონიის კომიტეტმა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ქაღალდი ჩააბარა მაკედონიის საქმეზე. კომიტეტი სწერს: მაკედონიაში 55 ათასი ქრისტიანი უსახლ-კაროდაა დარჩენილიო.

◆ „ბირჟევი ვედომოსტი"-ს სწერენ სოფიიდან: მთავარი ფერდინანდი დღესაც ევქსინოგრადის სასახლეში ცხოვრობს და ჯერჯერობით სოფიაში წასვლას არ აპირებს. მთავრობა ცანკოვის მომხრე პარტიის მოხელეებს სამსახურიდან ითხოვს. ხმა დადის, პეტროვს სამინისტროს განზრახვა აქვს, სამხედრო წესები შემოიღოს იმ ოლქებში, სადაც ხალხი უფრო აღელვებულია და ომის გუნებაზეა. ხალხი უფრო იმაზე ჰღელავს, რომ ოსმალეთის ჯარი ბევრგან ბოლგარიის საზღვარზე გადმოვიდა.

◆ სტამბოლში ბოლგარიის ეგზარხოსი თავის საკუთარ სასახლეში დაატუსაღეს. „ტან"-ის კორესპონდენტი იუწყება, ამ ამბავმა სოფიაში თვით ზომიერ ბოლგარებზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; აქაურმა მაკედონელებმა ხომ ეს ამბავი ხელზე დაიხვიეს და ხალხის აღელვებლად გამოიყენესო.

ინგლისი. ჩემბერლენის მომხრეებმა, როგორც ვიცით, ბირმინჰამში პროტექციონისტული (ბაჟების მომხრე) ლიგა დაარსეს. ეს ლიგა მეტად მხნედ იქცევა, აქამდე 15 მილიონი ფურცელი და პამფლეტი გაუვრცელებია ხალხში. თავისი გამოცემები ლიგას, სხვათა შორის, უესტ-ბრისტოლის საარჩევნო ოლქშიაც გაუვრცელებია. ამ ოლქს პარლამენტში დეპუტატად ფინანსთა მინისტრად ნამყოფი უნიონისტი ჰიქს-ბიჩი ჰყავს არჩეული. ჰიქს-ბიჩი ჩემბერლენს არ ეთანხმება და თავისუფალ ვაჭრობას იცავს. ჰიქს-ბიჩს ძლიერ ეწყინა ეს ამბავი და თავისი გულისწყრომა მოურიდებლივ გამოუთქვამს კერძო წერილში. ეს წერილი გაზეთებში დაიბეჭდა. ჰიქს-ბიჩი სწერს:

თქვენი ფურცლები უესტ-ბრისტოლში, ეჭვი არ არის, ჩემის სურვილის თანახმად არაა გავრცელებული. ჩემთვის ნება-რთვაც არავის უთხოვნია. თუ ამ ფურცლებს ბირმინჰამის ლიგა ავრცელებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთანა საქციელი მეტად უმართებულოა. თავისუფალ ვაჭრობის მომხრე უნიონისტებმაც დავაარსეთ ლიგა პურის ბაჟების წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ფურცლებს ისეთ ოლქებში არ გავავრცელებთ, სადაც უნიონისტია ამორჩეული დეპუტატად, თუ თვითონ დეპუტატმა არ მოგვცა ნებართვა.

◆ თუმცა მრავალი ხალხი უწევს წინააღმდეგობას, მაგრამ ჩემბერლენი მაინც არა ტყდება და თავისას არ იშლის. ამას წინად ჩემბერლენისათვის ერთს ინგლისელს სატამოჟნო რეფორმის თაობაზე პამფლეტი გაუგზავნია. პამფლეტის გამომგზავნისათვის ჩემბერლენს წერილი მიუწერია. მინისტრი სწერს: „სწორედ უცნაურად მიმაჩნია ეს ამბავი, რომ ახალი რადიკალები ისევე მედგრად ეწინააღმდეგებიან სატამოჟნო რეფორმას, როგორც ადრე ძველი ტორიები (კონსერვატორები) პურის კანონების გაუქმებას ეწინააღმდეგებოდნენ. ჩემს ახალგაზრდობაში, ყველანი დასცინოდნენ ძველ კონსერვატორებს: არც არას ივიწყებენ, არც-არას სწავლობენო. ეხლა რადიკალებზე ითქმის ესა: ესენიც ძველ წესს ჩასციებიან. კამათი სატამოჟნო პოლიტიკაზე ჯერ ხომ არ გათავებულა, მაგრამ ეხლავე ცხადად სჩანს, რომ ჩვენი სატამოჟნო პოლიტიკა უსათუოდ ახალ გარემოების დაკვალად უნდა შეიცვალოს".

ჩემბერლენი იმასა სცდილობს, რომ სავაჭრო კავშირით იმპერია გააერთიანოს და ინგლისი უცხო სახელმწიფოთაგან დაიცვას. „სენ ჯემს გაზეტ"-ი იუწყება: თავის აზრის შესასრულებლად ჩემბერლენს დიდი ბაჟის დაწესება როდი სწადიან. მინისტრის აზრით თითო ცენტნერ პურს სამი შილინგიც არ შეჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვდები. ამავე დროს მინისტრს სწადიან, ჩაისა და შაქრის ბაჟსაც დააკლოს. ხმა დადის, ვითომ ჩემბერლენი უცხოეთის საფაბრიკო ნაწარმოებზე დიდის ბაჟის დადებას აპირებდეს. გაზეთი ირწმუნება, ეს ხმა მეტად გაზვიადებულიაო.

საფრანგეთი. ეპისკოპოსები კიდევ დიდ წინააღმდეგობას უწევენ სამინისტროს. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას კი ნანსის ეპისკოპოსი ტიურინაზი ეწევა. ტიურინაზს წინააღმდეგობისა და მთავრობის გაკიცხვისათვის ჯამაგირი მოუსპეს, მაგრამ კერპი ეპისკოპოსი მაინც თავისას არ იშლის და მოურიდებლივ აცხადებს, მთავრობის განკარგულებას არ დავემორჩილებიო. ამ დღეებში ტიურინაზი ლურდში მივიდა და იქ მთავრობის წინააღმდეგ დიდ სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, მაგრამ ტარბის ეპისკოპოსმა შეფერმა დაუშალა: მაგ სიტყვით დიდ ზარალს მისცემ ლურდსაო, რადიკალური პრესა უმაგისოდაც ყოველ დღე ლურდის დახურვას თხოულობსო.

რადიკალური პრესა მთავრობასა ჰკიცხავს, ურჩ ეპისკოპოსებს რბილად ექცევითო, ჯამაგირის მოსპობა არა კმარა, ურჩ ეპისკოპოსებს სამართალშიაც უნდა აძლევდეთო. „ლანტერნ“-ი სწერს: თუ ჯამაგირის მოსპობის გარდა, ეპისკოპოსებს სხვა სასჯელს არ მისცემთ, ეპისკოპოსებს ვერაფერს დააკლებთო; რასაც უნდა, იმას იქმონენო.

◆ პარიზში ერთ ჯარის-კაცს ანარქისტს ქეის უფროსისათვის გამოუცხადებია: თოფს ხელში ვერ ავიღებო, ომი ჩემს რწმენას ეწინააღმდეგებაო. გამოძიების შემდეგ, მე-XIII კორპუსის უფროსს უბძანებია, ჯარის-კაცი ანარქისტი 10 დღით დაატუსაღეთო!

ახალი ამბავი

◆ **„კავკაზ“-ში შემდეგი ოფიციალური ცნობაა დაბეჭდილი:** „2 სექტემბერს ქალაქ ბაქოში, ესე საღამოს 5 საათზე, ზარის ხმაზე სომეხთა ადგილობრივ ტაძრის გალავანში შეიკრიბა ბლომად სომხობა. როდესაც პოლიციამ გამოუცხადა, დაიშალენითო, ხალხმა ქვებისა და რევოლვერების სროლა დაიწყო. ისროდნენ თვით ეკკლესიის ფანჯრებიდანაც, რის გამო დაიბარეს ორასი ყაზახი და ნახევარი როტა სალიანის ქვეითა რაზმისა. ჯარს ხალხი ქვებისა და რევოლვერების სროლით მიეგება, ამასთან ხალხი ამოეფარა ეკკლესიის ქვითკირის გალავანს და ეკკლესიაში შევიდა. ამის გამო ნახევარმა როტამ თოფების სროლა დაიწყო. ხალხმა გაიტაცა დაჭრილნი და მოკლულნი და შეაფარა თავი ეკკლესიას, რომელსაც ჯარი შემოერტყა. მეამბოხეთაგან დააპატიმრეს 45 კაცი, დანარჩენნი გაიქცნენ. წაართვეს და იპოვნეს ბევრი იარაღი, თვით ეკკლესიასა და საკურთხეველში აღმოჩნდა დატოვებული რევოლვერები, პატრონები და დაცლილი გილზები. ჯარიდან მსუბუქად დაშავდა ქვით ოფიცერი და ოთხი ჯარის კაცი სალიანის რაზმისა. ქვებითვე მოჰკლეს „გეოკ-ტეპეს“ გემის ზღვაოსანი, რომელმაც შემთხვევით იქ გაიარა. ამას გარდა დაშავდა პოლიცმეისტრის თანაშემწის აღმასრულებელი. ჯერ გამორკვეული არ არის, რამდენია მოკლული მეამბოხეთა მხრივ“.

◆ **გერმანულ გაზეთებში შემდეგი საყურადღებო ამბავი დაბეჭდილა:** ბერლინის უნივერსიტეტის პროფესსორს ჰარნაკს რეფერატი წაუკითხავს ქალაქ დამასკში ნაპოვნ ძველ წიგნების შესახებ. დამასკში ერთი მეჩითია, რომელშიაც ცალკე ოთახში ინახებოდა წიგნები. ოთახს კარი ამოქოლილი ჰქონდა კედლით, ასე რომ შესვლა არ შეიძლებოდა. ამ კარის გახსნა შეიძლებოდა თურმე მხოლოდ ხონთქრის ნებართვით. ამ ჟამად გერმანელ პროფესსორ ზაადენს მიუღია ნებართვა და ამოქოლილი კარი გაუხსნიათ. შიგ უპოვნია პროფესსორს ტომრებში შენახული წიგნები. გაურჩევია და აღმოჩენილა წიგნებში: ბერძნული, არაბული (ძველ სირიულ) სირიული, სომხური და ქართულის მსგავსი. ქართული წიგნები ჯერ კარგა ვერ გაურჩევია, სხვა მოხსენებულ ენებისა-კი ზედ მიწევნით გაურჩევია პროფესსორ ზაადენს.

◆ **სამეგრელოდან გვწერენ:** „ნათქვამია, თავად არ იყო ძმარიო, შიგ შეურიეს წყალიო. ჯერ თავად რიგიანი მოსავალი არ იყო წელს მთელს სამეგრელოში და ახლა ამას ზედ დაემატა სამეგრელოს გამაპარტახებელ-გამანადგურებელი აღმოსავლეთის ქარი, რომელიც დაუძინებელი მტერია ამ მხრისა. სექტემბრის პირველს ეს ქარი ამოვარდა ისე ღონივრად, რომ მთლად მიამტვრ-მოამტვრია სიმინდები, ყურძენს თუ რამე ესხა ან ხეხილს, სულ ძირს ჩამოჰყარა. ზოგგან სახლებს სახურავები გადააცალა, ქოხები წააქცია და სხვა. თუ ეს ქარი გაგრძელდა, მთლად ხელს დააბანინებს მუშა-კაცს თავის ნამუშევარზე.“

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე** ბევრ სადგურში ხეირიანი სასმელი წყალი არ მოიპოვება. ამიტომ გზის გამგეობის შუამდგომლობით სამინისტრომ 100 ათასი მანეთი გადასდო წყლის გაუმჯობესებისთვის. გამგეობას აზრადა აქვს იმ სადგურებში, რომლებიც მტკვარზე ახლოა, წყალი მდინარიდან გაიყვანოს, სხვაგან კიდევ ჭები ამოათხრევინოს ან წყაროებიდან გამოიყვანოს წყალი, თუ ახლო-მახლო წყალი მოიპოვება. ამასთან რკინის გზის გამგეობა შეუდგა წყლის ნიხრის შემუშავებას. ამ ნიხრით რკინის გზის სადგურებზე კერძო კაცებს წყალი დაეთმობათ.

◆ **ახალსენაკიდან გვწერენ:** 2 ამ თვეს აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: ნაშუადღევის პირველი საათი იყო, როდესაც ცეცხლი გაუჩნდა დაბის უმთავრეს ადგილას ქვითკირის დუქნებს. ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ ორის საათის განმავლობაში 20 დუქანი გადაიწვა. ცეცხლის გაჩენას ხელს უწყობდა აღმოსავლეთის ღონიერი ქარი. სამწუხაროდ, ვერც ერთმა ვაჭარმა ვერ მოასწრო საქონლის გამოტანა. ზარალი დაახლოვებით 300,000 მანეთს აღემატება. ამათში რამდენიმე დუქანი დაზღვეულია.

◆ როგორც რუსეთისა, ისე კავკასიის რკინის გზებზე ურიცხვი **ყალბი ბილეთები** აღმოუჩენიათ. ამის გამო მთავარ-გამგეობას გადაუწყვეტია შესცვალოს ბილეთების აწ არსებული ფორმა. ძველი ბილეთები გაუუქმებიათ და პეტერბურგში შეუკვეთნიათ ახალი ბილეთები.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ წელს 3000 მანეთი გადასდო. ამ ფულით შეწევნა უნდა აღმოეჩინოთ **საშუალო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეებს.** შეწევნა უკვე უთხოვნია 100 კაცამდე. 10 სექტემბერს სხდომა ექნება იმ კომისიას, რომელიც განიხილავს თხოვნებს და ფულს გაანაწილებს.

◆ გუშინა ვწერდით, **რკინის გზის მოსამსახურეთა საპენსიო კასის** წესდების შეცვლის შესახებ. ახალი წესდება მეტ უფლებებს ანიჭებს კასის წევრებს. სამსახურიდან წასვლის დროს წევრს შეუძლიან გაიტანოს ფული კასიდან. იმის გარდა, რაც თვითონ შეუტანია, მიეცემა ზედ მეტიც ხაზინიდან.

◆ მკითხველებს ეხსომებათ განცხადება ივანე სარაჯიშვილისა, რომელმაც სთხოვა ტფილისის გუბერნატორს ნება მისცეს კახეთის მოედნიდან საყასპომდე გამართოს ცხენის **რკინის გზის შტო.** ამ განცხადების შესახებ გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას ცნობები. გუშინ გამგეობამ აცნობა გუბერნატორს, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულობის ძალით, საზოგადოებას უფლება აქვს ქალაქში, სადაც შესაძლებელია, გაიყვანოს რკინის გზის შტოები. აქამდე საზოგადოებამ ვერ გააკეთა ეს გზა, რადგან სატეხნიკო პროექტი არ იყო დამტკიცებული. ეხლა მიიღო პროექტი და შეუდგება კიდეც რკინის გზის გაყვანას. ამის გამო შეუძლებლად მიგვაჩნია სარაჯიშვილს მიეცეს უფლება რკინის გზის გაყვანისა იმ დრომდე, ვიდრე უსახელო საზოგადოება თავის უფლებაზე უარს არ იტყვისო.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს **მევენახეობის საქმეების გამო** გამოუგზავნია მოხელე პონამარევი.

◆ ტფილისის **გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** თავ. დ. ზ. მელიქიშვილი 3 სექტემბერს ბორჩალოს მაზრიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ ქუთაისის მაზრის **სოფელ სავულიის მცხოვრებთ** შუამდგომლობა აღძრეს სამარხ კასის წესდების დამტკიცების შესახებ. სამინისტროს ეს წესდება უკვე დაუმტკიცებია.

◆ გუშინ, 4 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სომეხთა ეკკლესიის (სასახლის ქუჩაზე) მნათე ნამყოფის ჯალალოვისა, რომელსაც საეკლესიო ფულის გადანახვა ებარებოდა. სამის წლის წინად, როცა მნათეობისათვის ჯალალოვს თავი დაუნებებია, საეკლესიო კომისიას აღმოუჩენია, რომ გაფლანგული ყოფილა 8,500 მანეთზე მეტი. ჯალალოვი პასუხის გებაში მიეცათ. გუშინ სასამართლოში ჯალალოვმა განაცხადა, მე უსწავლელი კაცი ვარ, ანგარიშის არაფერი ვიცი და შესაძლებელია წიგნების შედგენის დროს შეცდომები მომივიდა, თორემ საეკლესიო ფულიდან მე არც ერთი კაპეიკი არ დამიხარჯავსო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ჯალალოვი და გადაუწყვიტა თვე ნახევრით საპყრობილეში დაპატიმრება და გადახდევინება 8 500 მანეთისა.

ფელეტონი

პრესსა და ლიტერატურა ინგლისში

II

გაზეთები მე-19 საუკუნის ნახევრამდე *).

თავისუფლებისთვის ინგლისელებმა, როგორც წინა წერილში ვწერდით, დიდი ბრძოლა გასწიეს. სასტიკი სასჯელი მოელოდა იმ თამამს, რომელიც საჯაროდ სიმართლეს აღიარებდა ან გაჰკიცხავდა უკადრის საქციელს ამა ქვეყნის ძლიერისას. 1540 წელს ჯონ სტაბსმა და რობერტ პედონმა გამოსცეს პამფლეტი დედოფლის ელისაბედის წინააღმდეგ. ამისთვის ავტორებს ხელების მოჭრა მიუსაჯეს. აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ პამფლეტი ინგლისში წინამორბედი იყო გაზეთისა. ვიდრე გაზეთი ფეხს მოიკიდებდა, იმის მაგიერობას პამფლეტი ეწეოდა. ამიტომ ვისაც სიმართლისთვის გული ერჩოდა, პამფლეტით ემსახურებოდა საქვეყნო საქმეს. 1630 წელს ალექსანდრე ლეიტონი, მამა მთავარ ეპისკოპოსისა, „სამარცხვინო ბოძთან“ ააყუდეს და გაროზგეს. მიზეზი ის იყო, რომ „დედოფალსა და ეპისკოპოსებზე მეტად უკმეხი პასკვილი დასწერა“. 1634 წელს პალატამ სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტა ვილიამ პრეინს, სამღვდელოების თამამ გამკიცხველს. პრეინს ჯერ ლოყებზე ცხელის რკინით ორი ასო ამოუწვეს და მერე სამუდამოდ საპყრობილეში დააპატიმრეს. შემდეგში არც ეს იკმარეს და დამატებით ერთი ყურიც მოსჭრეს.

ნაკლები ტანჯვა-წვალება არც „რობინზონ კრუზე“-ს ავტორმა დეფომ გამოიარა. დეფო მეტად უშიშარი მებრძოლი იყო. მეფის წინააღმდეგ დაწერილ პამფლეტისთვის იგი სამარცხვინო ბოძს ააყუდეს, შემდეგ საპყრობილეში ჩასვეს, სადაც დასწერა პოემა: „ჰიმნი სამარცხვინო ბოძის მიმართ“. საპყრობილეში დეფო გაზეთის გამოცემასაცკი შეუდგა. მაგრამ არც ერთი პამლეტი ისე არ გასაღებულა, როგორც სვიფტის „მემაუდის წერილები“. იმ დროს ირლანდიაში წვრილი ფული არ მოიპოვებოდა. 1720 წელს მდიდარმა მემამულემ ვილიამ ვუდმა მეფის საყვარლის, ჰერცოგის ცოლის კენდალის მეოხებით პრივილეგია მოიპოვა—მოსჭრას ირლანდიისთვის მილიონ მანეთის წვრილი ფული. კენდალმა და ვუდმა პირობა დასდეს, მოეჭრათ ისეთი ფული, რომელიც 40⁰/ ით ღირებულებაზე ნაკლები ყოფილიყო და მოგება სანახევროდ გაეყოთ. ეს სიყალბე შემდეგში გამოირკვა. ვუდი ირლანდიელებს უიმისოდაც ეჯავრებოდათ. სწყინდათ, რომ მეფემ არა ირლანდიელს მიანდო ფულის მოჭრა, რომ ინგლისში სჭრიდნენ ფულს და არა ირლანდიაში და სხვა. ამ უკმაყოფილებით ისარგებლა სვიფტმა და დაიწყო „მემაუდის წერილების“ წერა მთავრობის წინააღმდეგ. წერილები ისეთის უბრალო და მარტივის ენითაა დაწერილი, რომ ყველასთვის გასაგები იყო. „ძმებო, მეგობრებო და ამხანაგებო! ისეთი რამ უნდა გიამბოთ, რაც თქვენ ცხოვრებას, თქვენ ლუკმა პურს შეეხება“. ასე იწყობა წერილები. ავტორმა დაწვრილებით აუწერა მთავრობისა და ვუდის ხრიკები. ახლად მოჭრილ ფულს მთელს ირლანდიაში ახლო აღარავინ მიეკარა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობამ დიდი ჯილდო დაუნიშნა იმას, ვინც პამფლეტის ავტორს ან გამომცემელს დაასახელებდა. მთელმა ირლანდიამ იცოდა ავტორის ვინაობა, მაგრამ გამხელით არც ერთს არ გაუმხელია. მთავრობამ მაშინ კომისია დანიშნა ვუდის მიერ მოჭრილ ფულის გამოსაკვლევად. კომისიამ გამოაცხადა, რომ ფული უნაკლულოაო. ამ კომისიის ანგარიშს მემაუდის ახალი წერილი მოჰყვა. ავტორი აუწყებდა ირლანდიელებს, რომ ვუდმა კომისიას წარუდგინა ორიოდე კარგის ღირსების ფული და კომისიამაც მარტო ეს გასინჯაო. „აბა, ძმებო, როგორ მოგწონთ ასეთი საქმე,—სწერს ავტორი ბოლოში:—ვსთქვათ, მე მინდა ცხვრები ვიყიდო. მეცხვარემ მომიყვანა ერთი მსუქანი და კარგ მატყლიანი ცხვარი და მითხრა: სხვა ასი ცხვარიც, საძოვარზე რომ არის, ასეთივე მსუქანი და ძვირფას მატყლიანიაო. რას იტყვით, განა უნდა დაუჯერო და ვიყიდო ცხვარი, თუ უნდა წავიდე და გავსინჯო?“ ბოლოს სვიფტმა გაიმარჯვა: მთავრობამ გააუქმა პირობის წერილი და მისცა ვუდს დიდი ჯარიმა. ხოლო ვუდის მიერ მოჭრილი ფული გადაადნო და ახალი ჩამოასხა.

ასეთი იყო პამფლეტის ძალა. იგი ათი და ასი ათასობით საღდებოდა. გაზეთებიც არსებობდა იმ დროს, მაგრამ ის ძალა, გასავალი და გავლენა არა ჰქონდათ, რაც პამფლეტებს. ამიტომ პამფლეტებს სამართლიანად სთვლიან პირველ პოლიტიკურ გაზეთებად. პირველი გაზეთი, ისეთი, როგორიც ეხლაა მიღებული, გამოვიდა ინგლისში 1665 წელს. როგორც ამ, ისე სხვა გაზეთების გავრცელებას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი გადაეღობა წინ. როდესაც მოქალაქობა ცოტად თუ ბევრად განმტკიცდა ინგლისში და როდესაც შეუძლებელი შეიქმნა ჟურნალისტის სამარცხვინო ბოძზე მიკვრობა ან ხელების მოჭრა, მთავრობამ ახალი ხერხი იხმარა გაზეთების წინააღმდეგ: დააწესა ეგრედ წოდებული „გადასახადი განათლებაზე“. გადასახადი დაბეჭდილ გაზეთსაც ედებოდა და დასაბეჭდ ქაღალდსაც. თვითეულ გაზეთზე დაწესებული იყო 4 პენნი (პენნი 5 კაპეიკი), ამდენიც გირვანქა ქაღალდზედ, სულ 8 პენნი. ეს კი ისეთი დიდი გადასახადი იყო, რომ გაზეთის გაიაფება ყოვლად შეუძლებელი იყო. პირველად ასეთი გადასახადი 1712 წელს შემოიღეს დედოფალ ანნას დროს. მაშინ ახალი გადასახადი თაბახზე ერთ პენნის უდრიდა. მეფე გეორგ მეორემ ნახევარი პენნი მიუმატა, ცოტა რამ გეორგ მესამემ წაუმატა და ასე იარა იმ დრომდე, ვიდრე 8 პენნამდე არ ავიდა გაზეთისა და ქაღალდის გადასახადი. გაზეთის კითხვა მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ, ხალხს ხელი არ მიუწვდებოდა. ქაღალდის გადასახადის გამო წიგნებიც გაძვირდა. ჩარლს ნაიტმა განიზრახა სახალხო ენციკლოპედიის გამოცემა. თითო წიგნს თითო პენნი დაადო ფასი. გამომცემელმა საქმე ბოლომდე მიიყვანა, მაგრამ 320,000 მანეთი იზარალა. აქედან 300,000 მანეთი ქაღალდის გადასახადი იყო. ამ ენციკლოპედიას დიდი სამსახური მიუძღვის ინგლისის ხალხის თვით-ცნობიერების გაღვიძების საქმეში. 1833 წელს ინგლისის მთავრობა სახალხო განათლებაზე 200,000 მანეთს ხარჯავდა, ეს კი მეხუთედი იყო იმ ფულისა, რასაც მთავრობა განათლებაზე დაწესებულ გადასახადით ჰკრებავდა. ეს იყო მიზეზი, რომ კანდრაბანდას, საიდუმლოდ გამოცემულ გაზეთებსა და წიგნაკებს, დიდი გასავალი ჰქონდა.

პირველი გაზეთი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ინგლისში, იყო „ნორთ ბრიტონ“. დააარსა იგი დიდად ნიჭიერმა და სიმართლისათვის მებრძოლმა ჯონ ვილკესმა. ვილკესი დაიბადა 1727 წელს. სწავლა გაათავა ლეიდენის უნივერსიტეტში, მოიარა გერმანია და ჰოლანდია და 1768 წელს სამშობლოში დაბრუნდა. მალე პარლამენტის წევრადაც აარჩიეს. გაზეთი ვილკესმა 1767 წელს დააარსა. საჯარო კრიტიკა, სახელმწიფო მოღვაწეთა მოქმედების გარჩევა პირველად დაინახეს მკითხველებმა ამ გაზეთის ფურცლებზე. ვილკესი არაფერს არ შეუშინდა, თვით უძლიერესს გრაფ ბიუტსაც. ვილკესმა ისიც კი გამოაცხადა, რომ ლორდ ბიუტს საეჭვო გავლენა აქვს მეფე გეორგ მესამის დედაზეო. სიმართლის პირში თქმას ვილკესი არასოდეს არ ერიდებოდა. აი, მაგალითი. დ—რმა ჯონსონმა, რომელსაც სახელმწიფოსაგან პენსია ეძლეოდა, ლექსიკონი გამოსცა. ვილკესმა ახალ წიგნის გამო

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ 3 სექტემბერს, ღამე, ტფილისიდან ალტაგლისაკენ მიმავალ მატარებლიდან მინდორში ნაკვერცხალი გადაუგდიათ. ნაკვერცხალი გადუებულა და ცეცხლი ბალახს მოჰკიდებია. გაძლიერებული ცეცხლი მოსდებია იმ ბალახებს, რომელიც მიწათ-მოქმედების სამმართველოსაგან დიმიტრი წიყვაძესა აქვს იჯარით აღებული. დამწვარა 60 დესიატინაზე მეტი ადგილი. ცეცხლი გაჰქცევია ყარაჯალისა და თოქლის საბალახოებისკენ. დიმიტრი წიყვაძეს მოუწვევია ხალხი და მინდვრის გარეშემო მიწა შემოუხნავთ. ამ საშუალებით ცეცხლი ჩაუქრიათ.

◆ ავლაბარში დაზარკვას ქუჩის მოკირწყლას საუკეთესო სისტემით დაიწყებენ დღეს.

◆ გუშინ, 4 სექტემბერს, ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნება მისცეს ვერის დაღმართზე შავიდითნის მახლობლად დაუყენოს სამი ცხენი, რომელთაც ვაგონს მიაშველებენ აღმართზე.

◆ სიღნაღის მაზრიდან ამ დღეებში ჩამოსულმა დავით ქიტიაშვილმა პოლიციაში განაცხადა, რომ 1 სექტემბერს ორ უცნობ კაცთან ვქეიფობდი დიდუბის იქით, თხილაძის დუქანში. მეორე დღეს ვნახე და ჯიბიდან 500 მანეთი ამოეცალათო.

◆ 2 სექტემბერს, პოლიციის მე-10 ნაწილში, დიდუბის ქუჩაზე, ჩირემისოვის სახლში მცხოვრებ მართა კრეჩეტოვს უეცრად წამოჰქცევია ლამფა. ლამფა გამსქდარა და ალი ქალს მოსდებია. წივილ-კივილზე მოჰშველებიან და სიკვდილს გადაურჩენიათ. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პიატიგორსკი. ბალნეოლოგიურმა კრებამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას, რომ ებრაელებს ნება მიეცეთ ზაფხულობით სამკურნალოდ იარონ სამკურნალო წყლებზე.

შინ და გარედ

4.

შენც იცი, მკითხველო, რომ არსებობს ორიოდე რუსული გაზეთი, რომელსაც თავის წმ. მოვალეობად დაუსახავს ყველგან მოღალატე გამოსძებნოს, მთელს ერს სეპარატიზმის ბრალი დასდოს. საიდანაც არ მოელი, იქიდან გამოაბამს კუდს და რა ფაქტიც არ უნდა იყოს, ისარგებლებს, თავისებურად დაამახინჯებს, ოღონდ ვისაც ჯერ არს ყურამდე მიიყვანოს—აი მოღალატე, ჰკა მაგას!.. ასეთი გმირობა ბევრჯელ ჩაუდენია „მოსკოვ. ვედომ“-ს, „ნოვ. ვრ.“-ს, „სვეტ“-ს და „tutti quanti„-ს.

რუსეთის რიგიანს პრესას კარგა ხანია დაგმობილი აქვს ხსენებულ რეაქციონერთა ხერხი და აღარც ცდილობს მათ გამტყუნებას, რადგან ყველამ იცის, რა ფასი აქვს მათ ბრალდებას; ყველამ შეაჩვია ყური, რომ არა რუსი—კატკოვებისა, გრინგმუტებისა, სუვორინებისა, კომაროვებისა, ველიჩკოებისა და ამხ. აზრით,—უთუოდ რუსეთის სახელმწიფოს დამხობისა და დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსებას ჰფიქრობს. ამიტომ რიგიანი გაზეთები, კამათის მაგიერ, მხოლოდ იმით უცხადებენ თავის ზიზღს რეაქციონერთა გამოცემებს, რომ გადმობეჭდავენ მათ ახალ-ახალ მარგალიტებს და ამგვარად სამარცხვინო ბოძზე მიაკრავენ მათ ავტორებს.

ჩვენც ასე მოვიქცეთ და ვაუწყოთ მკითხველთ კომაროვის „სვეტ“-ის ახალი მარგალიტი, ამ ჟამად ქართველების წინააღმდეგ მომართული. ღრმა ძილში მყოფ ქართველებს უთუოდ გაუკვირდებათ, როდესაც გაიგებენ გაზეთ „სვეტ“-ის წყალობით, რომ:

„ქართველებმაც შეადგინეს სარევოლიუციო პარტია, რომელიც მეტად მტრულად ექცევა რუსეთს; ფული შეაგროვეს ტფილისში და 1903 წლის 1-ლ მაისიდან ჰბეჭდენ პარიზში ყოველთვიურ გაზეთს ფრანგულსა და ქართულ ენაზე, სათაურით „ლა ჟეორჟი“ და „საქართველო“.

ჟურნალი იგზავნება ტფილისში,—არ ვიცი რა ნაირად, და ურიგდება ყველას. ჟურნალი ნაციონალ-სოციალისტურია. მისი პროგრამაა—რუსეთის ნანგრევებზე შექმნილ იქმნას რამდენიმე დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ჟურნალის გამომცემელი და რედაქტორია თავადი (კავკასიაში სომეხი და ქართველი მედუქნეები—თავადებია) არჩილ ჯორჯაძე. ჟურნალის პირველ სამ ნომერში უპირველესად ყოვლისა მოთავსებულია საკითხი საქართველოს სახელმწიფოზე და შეურაცხყოფა იმ რუს და ქართველ მოღვაწეებისა, რომელნიც კანონიერ გზას ადგიან. ვიღაც „სოფლის მღვდელი“ ცილსა სწამებს რუს და ქართველ სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელიც სარევოლიუციო ნიადაგზე არა სდგას. ამასთანავე ჟურნალი ამტკიცებს, ვითომ ქართველი არისტოკრატიაც რევოლიუციის მომხრეა და ვითომ ერთმა ცნობილმა გენერალმა საჯაროდ შეურაცხჰყო და ხელი არ ჩამოართვა ერთ ქართველ ეპისკოპოსს, რომელიც თვითმპყრობელობისა და მართლ მადიდებლობის კანონიერს ნიადაგზე მოღვაწეობს.

რევოლიუციონერები თავის ჟურნალში სცდილობენ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენონ ქართველი სამღვდელოება, როგორშიაც პოლონეთის მღვდლები იყვნენ 1863 წლის ამბოხების დროს. ასეთივე თავხედურია ჟურნალის მოწოდება, მიმართული სოფლის მასწავლებელთა მიმართ, და იმედები, რომლებსაც მათზე ამყარებენ რევოლიუციონერები. რასაკვირველია, ბევრი მოხვდა ჟურნალისაგან რუს-მოხელეებსაც, რომელთაც ლოთობასა და გარყვნილებას სწამებენ. მაგრამ ამ ცრუ და თავხედ ბრალდებებს დროა შესაფერისად ვუყუროთ და სრულიად ყური არ ვათხოვოთ ცილის-მწამებელთ.“

მოდი და ამაებს პასუხი გაეცი!.. მაგრამ, ღმერთი მოწყალეა: ფორმულა caveant consules“ აღარავისათვის ახალი არ არის და ისევ დარჩება ხმად-მღაღადებლად უდაბნოსა შინა.

გან.

რუსეთის ქრონიკა

◆ რუსეთის გაზეთების ცნობით, ლ. ნ. ტოლსტოიმ სოფ. იასნაია პოლიანაში თავის ოჯახში გაატარა 75 წლის დაბადების დღე. ყველა მისი შვილები და შვილის-შვილები თავმოყრილნი იყვნენ მასთან. ლ. ნ. კარგად, ჯანმრთელად არის. მრავალი მისალოცავი დეპეშები მოსვლია ყველა ქვეყნებიდან. ებრაელებმა, სომხებმა და რუსეთში დასახლებულმა უცხო ტომის ხალხთა წარმომადგენლებმა მადლობა გამოუცხადეს დიდებულ მწერალს მოყვასის მიმართ ქრისტიანულ სიყვარულის მაღალ პრინციპის დაცვისათვის. ბევრი სტუმრები სწვევია ლ. ნ—ს სოფელში. ლ. ნ—ს უთქვამს მათთვის, მოთხრობა „ჰაჯი მურადი“ ჯერ ჯერობით არ დამისრულებიაო, და უხუმრია—ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოსაცემად ვამზადებო. ლ. ნ—ძეს დაუწერია ორი იგავი ებრაელთა სასარგებლოდ გამოსაცემ კრებულისათვის. ტოლსტოი ზამთარს სოფელში გაატარებს, რადგან მოსკოვში აუარებელი სტუმრები იყრიან თავს მის სახლში და ბევრ დროს აკარგვინებენ. ლ. ნ—ძე ყველას ღებულობს თავის სახლში, უარს არავის არ ეუბნება.

◆ „რუსკ. სლოვოს“ შეუტყვია, რომ საკომერციო სასწავლებლებს და პოლიტეხნიკუმებს, რომელთაც დღეს ფინანსთა სამინისტრო განაგებს, სხვა უწყებაში გადასცემენო.

◆ ვილნოს, კოვნოს და გროდნოს გენერალ-გუბერნატორმა თ-დმა სვიატოპოლკ-მირსკიმ „გულ წრფელი მადლობა გამოუცხადა ბელოსტოკის პოლიცმეისტერს მეტლენკოს და პოლიციის მოხელეთ მხნე და გონიერ მოქმედებისათვის“.

◆ პრინციპიალურად უკვე გადაუწყვეტიათ, კიევში ობერ-პოლიცმეისტრის თანამდებობა დააწესონ და ამ საკითხს მალე განიხილავს სახელმწიფო საბჭო. ახალი თანამდებობა 1904 წლის იანვრიდან უნდა შემოიღონ.

◆ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა როსტოვში მომხდარ არეულობაში მონაწილეთა შესახებ სამხედრო სასამართლოს დადგენილება. რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილ დაწვრილებით ცნობებიდან სჩანს, რომ პირველი გილდის ვაჭრის შვილი ალექსანდრე ბრაილოვსკი, ყაზახი დიმიტრი კოლოსკოვი და ადრიან კუკსინი იცნეს მოთავეებად მთავრობის წინააღმდეგი დემონსტრაციისა, რომელიც განზრახ იყო გამართული რუსეთის თვითმპყრობელობისა და სახელმწიფო წეს-წყობილების კადნიერად გასაკიცხავად. დემონსტრანტებმა იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას და მასთან შეტაკების დროს დასჭრეს პოლიციის რამდენიმე მოხელე, რომელთაგან ყველაზე უფრო მძიმედ დაჭრილი იესაული ანტონოვი მალე გარდაიცვალა, დანარჩენნი 10 ბრალდებულნი დამნაშავედ იცნეს, როგორც ზემოხსენებულ პირთა მომხრენი, და დანაშაულობის დაგვარად სხვა-და-სხვა სასჯელი მიუსაჯეს. მხოლოდ ერთ დამნაშავეს, სამუილ ბოროხოვს, შეუმცირა სასამართლომ სასჯელი, რადგან იგი სრული წლოვანი არის—17 წლის ყმაწვილი კაცია; 3 წლის კატორგა 3 წლის საპყრობილედ შეუცვალეს.

სასამართლო შუამდგომლობს სასჯელი შეუმსუბუქონ 3 დამნაშავეს, რომელთაც ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.

ბრალდებულთ—აზნაურიშვილის ქალმა მარიამ ნაგელმა და მოქალაქემ ანნა ლო-

---

ასეთი რეცენზია დაბეჭდა: „მე მგონია, პატივცემულ ავტორს ზოგიერთი სიტყვა სავსებით ვერა აქვს განმარტებული. აი, მაგალითად, სიტყვა „პენსია“. პატივცემულ დოქტორს არ ეპატიება ეს, რადგან იგი ამ შემთხვევაში დიდის ერუდიციით არის აღჭურვილი. იმედი გვაქვს, რომ დიდად პატივცემული დოქტორი ლექსიკონის მეორე გამოცემაში შეიტანს ამ ჩვენს განმარტებასაც: „პენსია ის ფულია, რომელიც ეძლევა გამყიდველ კაცებს სამშობლოს ღალატისათვის“. გრაფ ბიუტს ისე გაუჭირა საქმე, რომ საკუთარი გაზეთი დააარსა. მაგრამ ვილკესმა პირველ ნომრიდანვე საზოგადოების თვალში გაუტეხა ახალ გაზეთს სახელი. ხელში აღარავინ აიღო. გრაფის გაზეთი მალე დაიკეტა.

„ნორთ ბრიტონის“ სახელი დღითი დღე იზრდებოდა. მტერი ბევრი ჰყვანდა, მაგრამ საქმე მაინც კარგად მიდიოდა მე-45 ნომრამდე. ამ ნომერში დაიბეჭდა მეტად ცხარე წერილი იმათ წინააღმდეგ, ვინც „ხალხის უფლების გაუქმებას სცდილობს“. ამ ხანში მეფე გეორგ მესამემ მოისურვა პარლამენტის დაქვეითება და დამორჩილება. აი, ამის გამო რასა სწერდა ვილკესი: „ინგლისის მეფე მხოლოდ პირველი თანამდებობის კაცია სახელმწიფოში. კანონმა მიანიჭა მეფეს აღმასრულებელი უფლება, ამიტომ იგი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე, თუ ამ უფლებას ბოროტად მოიხმარს ან უსინიდისო მინისტრს აარჩევს. თავის-და თავად მეფეს ურიგო ხასიათი არა აქვს. მაგრამ მეფის მახლობელთა წინააღმდეგ სამართლიანად ამხედრდა მთელი ქვეყანა. მეფეს უფლება არა აქვს სიმპატიით იხელმძღვანელოს და ხან ამას უბოძოს მინისტრობა, ხან იმას. ამ შემთხვევაში მეფეს უნდა ახსოვდეს სახელმწიფოს კეთილ-დღეობა. ასეთია სული და გული ჩვენის კონსტიტუციისა. ხალხსაც დიდი უფლებები აქვს. იმედი მაქვს, ყველა კარგად დაიხსომებს დრაიდენის ლექსის შემდეგ სიტყვებს: „თავისუფლება—ინგლისის ქვეშევრდომის უფლებაა“.

მეორე დღესვე ბრძანება გამოვიდა ავტორისა, გამომცემლისა და გაზეთის გამავრცელებელის დაპატიმრების შესახებ. ვილკესმა გააპარა თავისი ამხანაგი და მეორე რედაქტორი ჩერჩილი და დანაშაულობა თვით იდო თავს. იგი ტოუერში წაიყვანეს. გაზეთი „შეიპყრეს“ და გადაუწყვიტეს ჯალათის ხელით დაწვა პარლამენტის შესავალთან. მაგრამ შეკრებილმა ხალხმა გამოსტაცა ჯალათს გაზეთი, დიდის ამბით ქალაქზე გაატარა, მერე დაანთო უზარმაზარი კოცონი და დასწვა ბრძანება ვილკესის დაპატიმრების შესახებ და მოსამართლეების სურათები. აი, ასე იბრძოდნენ ჟურნალისტები და საზოგადოება პრესის თავისუფლების მოსაპოვებლად. საზოგადოებისაგან ჟურნალისტებს ზურგი ძალიან ჰქონდათ გამაგრებული. იქამდე აღელვა საზოგადოება თვითნებობამ, რომ მთავრობა ბოლოს და ბოლოს ველარა ჰბედავდა ჟურნალისტების სატუსაღოში ჩასმას ან სხვა გვარად დასჯას. სუსტი იყო მტრებთან შედარებით პირველ ხანს პრესსა, მაგრამ საზოგადოებამ მხარი მისცა და ახლად ფეხ-აღგმულმა მწერლობამ სძლია მტერს. ინგლისის გაზეთებმა დევიზად ეს გაიხადეს: „თავისუფალ ხალხს თავისუფალი პრესსა უნდა ჰქონდეს.“ გეორგ მესამემ სიკვდილამდე ამ პრინციპთან ბრძოლაში გაატარა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მალე გაზეთებმა მოიპოვეს უფლება, რომ თავიანთი რეპორტერები პარლამენტში ჰგზავნონ. ამიერიდან მთავრობას აღარ შეეძლო ჩუმად რისამე გადაწყვეტა და საიდუმლოდ ბრძანების გაცემა ამა და ამ რედაქტორის და გამომცემლის დაპატიმრების შესახებ.

როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, ამის შემდეგ საქმეს ძალიან აფერხებდა ქაღალდისა და გაზეთის გადასახადი. ბევრს უნდოდა ხალხში გავრცელება, მაგრამ ამ გადასახადის გამო ვერ ახერხებდა. ამიტომ მე-19 საუკუნის დასაწყისში შეუდგნენ „უგადასახადო“, ე. ი. უკანონო, გაზეთების გამოცემას. ყველაზე მეტი შრომა ამ საქმეში გასწია ჰენრი ხეტერინგტონმა. დაიბადა 1792 წელს. 1830 წელს ხეტერინგტონმა გამოსცა „უშტემპელო“, ე. ი. უგადასახადო, ყოველ კვირეული გაზეთი. წლის გასულს პოლიციამ გამომცემლის სტამბა ააწიოკა და აიკლო. მაშინ ხეტერინგტონმა მეორე გაზეთი გამოსცა. გაზეთს დევიზად დააწერა: „ცოდნა—ძალაა“. ეს გაზეთი საუკეთესო სახალხო გაზეთი იყო. ოთხის ფურცლისაგან შესდგებოდა და თავით ბოლომდე მთავრობის მოქმედების კრიტიკით იყო სავსე. მაღაზიებმა შიშით გაზეთი საკომისიოდ არ მიიღეს. მაშინ ხეტერინგტონმა შეჰკრიბა მთელი რაზმი თავზე ხელ-აღებულ დამტარებელთა და იმათ მიანდო გაზეთის გავრცელება. ნახევარ საათში ეს რაზმი გაზეთის ფურცლებს უზარ-მაზარ ლონდონის ყველა კუთხეს მოჰფენდა ხოლმე. ბევრი ოსტატობა გამოიჩინა ამ გაზეთის გამოცემის დროს გამომცემელმა. ბოლო დროს პოლიცია სტამბის კარებთან იცდიდა, რომ გამოტანისათანავე ხელთ ჩაეგდო უშტემპელო გაზეთი. რა ხერხს არ იგონებდა ხეტერინგტონი! ერთ დილას შეკრული კონები გამოიტანეს სტამბიდან, ზევიდან გაზეთის სახელი იყო წარწერილი. პოლიცია მაშინვე მიჰვარდა და გაიმართა ერთი წეწა გლეჯა. ამ დროს ნამდვილი გაზეთი მეორე მხარეს ფანჯრიდან გაიტანეს და ქალაქში დაარიგეს. კარგა ხანს გამომცემელი კუბოსა ხმარობდა გაზეთის ნომრების გასატანად. მეზობელ სახლთან დგებოდა ბალდახინი. სახლიდან გამოჰქონდათ კუბო, უდებდნენ ბალდახინზე და მიჰქონდათ. პოლიციელებს საშინლად უკვირდათ, რამდენი ხალხი იხოცება ამ სახლშიო. ბოლოს გამოირკვა, რომ კუბოში გაზეთები ეწყო. რამდენად წინ წავიდა ინგლისი, იქიდანა სჩანს, რომ იმ გაზეთის პროგრამა, რომელსაც ასე სდევნიდნენ, დღეს სავსებით შედის სამინისტროს დასის პროგრამაში.

ბოლოს ხეტერინგტონი მაინც დააპატიმრეს, ხოლო იმისი სტამბა აიკლეს. მაგრამ დაკეტილ გაზეთის ნაცვლად ახალი გაჩნდა. ამ ახალ გაზეთის გამომცემელიც, კლივი, ორჯელ ჩასვეს საპყრობილეში. კლივი საპყრობილიდან გამოსვლისას ყოველთვის ახალ გაზეთს აარსებდა. მალე სხვა ამ გვარი გაზეთებიც დაარსდა. ერთი ჟურნალისტი გაზეთისა და ქაღალდის გადასახადების შესახებ სწერდა: „ინგლისელს თავით ფეხამდე გერბის მარკები აქვს დაკრული. ფეხის გადადგმა არ შეუძლიან ისე, რომ გერბის გადასახადს არ წაარტყას თავი... ყველაფერს გადასახადი ადევს: ფიქრს, აზრს, ავადმყოფობას, კარგამყოფობას, სიყვარულს, სიკვდილს“.

1849 წელს პარლამენტში პეტიცია შეიტანეს იმის შესახებ, რომ „პრესსა განთავისუფლებულ იქმნას გადასახადებისა და ადმინისტრაციის კონტროლისაგან“. პეტიციაზე, სხვათა შორის, ხელი ეწერათ ბრაიტს, ლუისს, ჰერბერტ სპენსერს, მილლს, კობდენს და სხვებს. საზოგადოებრივი აზრი თან და თან მეტ ძალას იძენდა. მოსამართლეებს ეძნელებოდათ ჯარიმის დადება ისეთ რედაქტორების „უშტემპელო“ გაზეთებზე, როგორიც დიკკენსი იყო. სასჯელი საზოგადოდ მთელ აღელვებას იწვევდა ხოლმე.

ყველა ამის გამო მთავრობა იძულებული შეიქმნა დაეთმო. შეამცირა ქაღალდის გადასახადი, მაგრამ ახალის აგიტაციის შემდეგ 1855 წელს სრულიად გააუქმა გაზეთებისა და ქაღალდის გადასახადი. გამარჯვებას ასის წლის ბრძოლა მოუნდა. ინგლისში ამ ბრძოლას „სამღვთო ომს“ ეძახიან. გადასახადების გაუქმებისათანავე გაზეთის ფასმა საოცრად დაიწია. ამასთან ასობით გაჩნდა ახალი გაზეთები, რადგან იგი ყველასათვის ხელმისაწვდენი შეიქნა.

1855 წლიდან ინგლისის პრესსას, სრულიად თავისუფალს და დამოუკიდებელს, ახალი ხანა დაუდგა.

ი. მე—ა.

გაჩევმა, რომელთაც ციმბირში დასახლება მიუსაჯეს, არზა შეიტანეს და ითხოვეს, სრულებით გაამართლონ ისინი, რადგან, მათის აზრით, არაფერი დანაშაული არ მიუძღვით.

ბრალდებულთ სასამართლოს განჩინების განსაჩივრებაზე უარი განაცხადეს.

◆ ტომსკის გუბერნატორის განკარგულებით აეკრძალათ ქალაქის მცხოვრებთ სხვა და სხვანაირი იარაღის ტარება, და იარაღის მაღაზიებს—გაყიდვა იარაღისა ისეთ მუშტრებზე, რომელთაც ნებართვა არა აქვთ აღებული.

◆ ამას წინად გამოცხადებულ საერო განათლების სამინისტროს ცირკულიარით ბერძნული ენა გიმნაზიებში არა სავალდებულოდ არის ცნობილი. სამარის ვაჟების გიმნაზიის დირექტორს უკითხავს მეხუთე კლასის მოწაფეებისთვის, თუ გსურთ ბერძნული ენის სწავლაო, და მხოლოდ ერთ მოწაფეს გამოუცხადებია სურვილი.

◆ გზათა სამინისტროს შეუმუშავებია სხვა და სხვანაირი ზომები სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის გასაუმჯობესებლად. გადაწყვეტილია დააწესონ დაწვრილებითი წესები მგზავრთათვის, გააძლიერენ პასუხისგება ამ წესების დამრღვეველთა, აუკრძალონ მგზავრებს ბევრი ნივთების შეტანა ვაგონში და სხვ.

◆ ფინლიანდიის რკინის გზებას უფროსად რუსეთის ჯარის ოფიცერი დაუნიშნავთ.

პრესსა

„უფიმსკ. გუბ. ვედ."-ის ცნობით, უფის ახალმა გუბერნატორმა სოკოლოვსკიმ, ზლატოუსტში ყოფნის დროს მიმართა სიტყვით სახაზინო სამთო ქარხნის მუშებს, აღნიშნა ის გარემოება, რომ ეს ქარხანა მოთავეობდა მარტში მომხდარ არეულობას და მთავრობის წინააღმდეგობას, რამაც სისხლის ღვრა გამოიწვია. თვითეული თქვენგანიო,—სთქვა გუბერნატორმა, მოვალეა კეთილ-სინიდისიერი შრომით, იდუმალ აგიტატორების მორიდებით და მთავრობის მიმართ ნდობით ზღოს თავისი დანაშაული და ხელ-ახლად დაიმსახუროს პატიოსანი მუშაკის სახელიო.

ქარხნის ეზოში თავი მოიყარეს მუშათა სხვა და სხვა ამქრებმა. გუბერნატორმა გამოუცხადა იმათ, ამიერიდან იმედი მექნება, რომ თქვენ მშვიდობიანად განაგრძობთ მუშაობას და კანონისადმი პატივისცემით აღიზრდებითო. თუ რამე შეგემთხვათ, თუ რამე კანონიერი საჩივარი გქონდეთ, გაბედულად მიმართეთ თქვენს უფროსებს. ერთად ნუ მოიყრით თავს, ერთად ნუ მოქმედებთ, თვითეულ შემთხვევაში თქვენ შორის სანდო, მშვიდობიანი, გონიერი კაცები ამოირჩიეთ და, მერწმუნეთ, უყურადღებოდ არ დაგტოვებენ თქვენ. თუ ვინიცობაა, სამართალი ვერ მოიპოვოთ, მაშინ პირდაპირ მე მომმართეთ, და თუ თქვენი მოთხოვნილება კანონიერი იქმნა, ჩემში ნახავთ თქვენ მტკიცე მოსარჩლეს. გახსოვდეთ, ძმებო, რომ ერთი გყავთ თქვენ უფროსი, ერთი მფარველი—თქვენი ადმინისტრაცია, ხელმწიფე-იმპერატორისაგან დაყენებული. ნუ დაუჯერებთ იმ იდუმალ მოციქულებს, რომელნიც ურჩობას გასწავლიან თქვენ და ბევრ სიკეთეს გპირდებიან, კანონის და მთავრობის წინააღმდეგ თუ გამოხვალთ.

სიტყვა რომ დაასრულა გუბერნატორმა, პირადად დაურიგა მუშებს სურათები და წიგნები, გენერალ ბოგდანოვიჩისაგან გამოცემული

⁂

„დნეპრ. ვესტ"-ში შემდეგი საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი.

მიმდინარე წლის 9 ენკენისთვეს მოსკოვის ოლქის სასამართლომ უნდა გაარჩიოს საქმე ცნობილ მწერლის ლეონიდ ანდრეევის შესახებ, რომელსაც შემდეგი დანაშაული ბრალდება. გასულ ზამთარს რუსეთის კეთილშობილთა დარბაზში მოსკოვში საქველმოქმედო მიზნით საღამო გაემართათ, რომლის გამგედ იყო დამტკიცებული ობერ-პოლიცმეისტერისაგან მწერალი ლეონიდ ანდრეევი. სხვათა შორის, იმ საღამოს სცენაზე გამოვიდა მწერალი სკიტალეცი და წაიკითხა თავისი ლექსი „გუსლიარი". ოლქის მზრუნველმა ნება დართო ამ ლექსის წაკითხვაზე, მხოლოდ შეამოკლა იგი. სკიტალეცმა კი სრულად წაიკითხა ეს ლექსი. ამიტომ პასუხის გებაში იქმნა მიცემული მწერალი ლეონიდ ანდრეევი, რომელმაც, როგორც საღამოს გამგემ, ნება მისცა სკიტალეცს, ცენზურისაგან ნება დაურთველი ადგილები წაეკითხა. ანდრეევის 2—8 თვემდე საპყრობილე მოელის თურმე ამ დანაშაულობისათვის.

თეატრი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს ბაქოს სადგურზე ახალი თეატრი აგოს რკინის გზის მოსამსახურეთათვის.

—

რუს კომპოზიტორს დავიდოვს ჰაუპტმანის პიესა „დაძირული ზარი" ოპერად გადაუკეთებია. ამ ოპერას პეტერბურგში წარმოადგენენ. პირველ წარმოდგენისთვის პეტერბურგში მიწვეულია ავტორი დრამისა, ჰერხარტ ჰაუპტმანი.

—

ქარელი (ქართლი). ამ ზაფხულს სცენის-მოყვარეებმა ჩვენს სოფელშიაც განიზრახეს წარმოდგენის გამართვა. საწუხაროდ, აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც დიდად წინააღმდეგნი გახდნენ წარმოდგენისა. ამ ვაჟბატონებს, რაკი საქმის გასაკეთებლად ძალა არ შესწევთ, საქმის ჩაშლით მოისურვეს თავი ესახელებინათ. ყველგან წინ ეღობებოდნენ სცენის-მოყვარეთ და ათასნაირ დაბრკოლებას უჩენდნენ. ჯერ საზოგადო სახლი არ დაუთმეს, ვითომ-და იმ მოსაზრებით, რომ ამ სახლს იმისთანა თვისება აქვს, ცეცხლი რომ მოეკიდოს, დაიწვებაო. სკამებიც კი ვერ იშოვნეს. მაგრამ სცენის მოყვარეებმა თავისი მაინც არ დაიშალეს. ბინაც იშოვნეს, სცენაც გამართეს და სხ. მაშინ გაავრცელეს ხმები, რომ წარმოდგენაზე არეულობა იქნებაო, რამაც ხალხი შეაშინა და წარმოდგენაზე მისვლა ველარავინ გაჰბედა. ამნაირად, წარმოდგენა ჩაიშალა და საქმის მეთაურებს ჯილდოთ ორმოცი-და რვა მანეთი ხარჯი ერგოთ. „კარგი რამ გვპირდეს, გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია".

სტუმარი

წერილი თელავიდან

სეირნობა

ზაფხული თელავში მხიარული, დროს გამატარებელი და მრავალ-ფეროვანი იყო. სხვა გასართობებს სეირნობაც მოჰყვა. პირველ სეირნობას მოჰყვა [illegible] ხალხი დააგროვა. ამის მსგავსად თელავში ჯერ არაფერი ნახულა. ერთმა აქაურმა ვაჭარმა 30 და 31 აგვისტოს ქალაქის ბაღში გამართა სეირნობა ბაზრით, ე. ი. გამოიტანა საქონელი და ლატარეა-[illegible] დროებით დადგმულ კარავში. მომეტებულად უბრალო ნივთები იყო, თუმცა ფასიანებიც ერია, მაგრამ ნაკლებად. 3—4 ალაგას დადგეს ბილეთებით დასტრიალებული ყუთი, შემოსხდომოდნენ ქალები და ჰყიდდნენ ბილეთს 20 კაპ., იღებდნენ ბილეთს და ნომრის შესაფერ ნივთს აძლევდნენ. ბაზარს, როგორც აფიშაში იყო გამოცხადებული, საქველ-მოქმედო აზრი ჰქონდა—50 პროც. წმ. ნინოს დედათა სასარგებლოდ იყო. ბაღში სამხედრო მუსიკა უკრავდა. შესვლაში არაფერს იღებდნენ. თუმცა პირველ დღეს უქმე იყო, მაგრამ დუქნები ღია ჰქონდათ და იმდენი ხალხი ვერ დაესწრო. მაინც ბლომად შეიკრიბა. პირველად უფრო ეყიდებოდა ბილეთები. ზოგიერთს ფასიანი ნივთები ერგო, მაგრამ უმრავლესობას უბრალო ნივთები: რგვული, კარანდაში, წუმწუმა და სხვა. ყველა უკმაყოფილებას აცხადებდა: რგვული რად გვინდაო. მეორე დღეს უფრო ბევრი ხალხი შეიკრიბა—ბაზრის ხალხი და დაბალი წოდება. ესენიც ჩაერივნენ, მაგრამ ამათაც უბრალო ნივთები ხვდებოდათ. საღამოთი ხეივნები სულ აივსო. ბანდის კარვის წინ ბევრმა მუშა ხალხმა მოიყარა თავი. რაღაც მიზეზზე აღაპარაკდნენ. პატრონს ნოხის სახელი ჩამოართვეს. დაიწყეს ჩხუბი, ხალხი წინ საქონლისკენ იწევდა, ერთის სიტყვით, მაზრის უფროსი რომ არ მოსულიყო, მონასტერი აირეოდა.

დამსწრე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 სექტემბერი

მადრიდი. ხმა, ვითომ მეფე საზღვარ-გარედ წასვლას აპირებდეს, სწორე არაა.

სტამბოლი. მოსულის უმაღ, ხელიგო ილდიზ-კიოსკში წავიდა; ხონთქარმა ჯერ სადილად მიიწვია, მერე აუდიენციაში მიიღო.

მაროკო. ჯარის უფროსი მაროკოში ბენ-იუსი და 600 კაცი ბრძოლის დროს მოჰკლეს. სულთანი კინაღამ მტრებს არ ჩაუვარდათ ხელში.

სტამბოლი. ალბანელი სათადარიგო ჯარი ადრიანოპოლიდან სამშობლოში დააბრუნეს. [illegible], ჯარს დაშქრობის დროს [illegible].—კირკ-კილისედან მიღებული ცნობა, ვითომ ალბანიაში 220 ბოლგარისათვის თავი მოეკვეთოთ, სწორე არაა. 220 მაგიერად 22 უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი.

მოსკოვი. ათონიდან დაბრუნებული სტუდენტები ამბობენ, ათონის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ჩვენ პატივსაცემლად სადილი გამართაო. გრაფ კაპნისტის მეუღლე და მოგზაური სტუდენტები სამხედრო გემზე ყოფილან სტუმრად.—დღეს „რუსსკიი პალომნიკ"-მა ორმოცის წლის დღესასწაული გადაიხადა.

ალექსანდროვსკი (არხანგელსკის გუბ.) სამეცნიერო და სავაჭრო ექსპედიციის გემი ბარენცევის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილიდან დაბრუნდა.

სტარიცა. აქ ინჟინრები მოვიდნენ კრიუკოვო-სტარიცა-ოსტაშკოვის რკინის გზის გამოსაკვლევად.

ნიჟნი-ნოვგოროდი. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ოსკში მიმავალმა, ორი დღე დაჰყო ნიჟნი-ნოვგოროდში და 3 სექტემბერს გზათა სამინისტროს გემით კაზანს წავიდა.

პიატიგორსკი. საზეიმო სპექტაკლის დროს მიწათ-მოქმედების მინისტრმა ხელმწიფე-იმპერატორის მიერ ბელოსტოკიდან პრინც ოლდენბურგსკისთან მიწერილი დეპეშა წაიკითხა. დეპეშაში სწერია:

„თქვენის უმაღლესობის დეპეშიდან სიამოვნებით შევიტყე, რომ კავკასიის მინერალური წყლები უფრო კარგად მოუწყვიათ. იმედი მაქვს, რომ იმპერატორ პეტრე დიდის სახსოვრად გამართულ და თქვენგან გახსნილ მეორე კრების შრომა სამშობლო მეცნიერებაში ახალ წარმატებას გამოიწვევს. ნიკოლოზ".

სტამბოლი. აქ ხმა გავრცელდა, ვითომ ბოლგარები კიდევ მოახდენენ დინამიტით აფეთქებასაო. ეს ხმა საეჭვოდ მიაჩნიათ. უკანასკნელ დღეებში მრავალი ბოლგარი დაატუსაღეს.—ღამე სამი კაცი საფრანგეთის საელჩოს ახლო მანათობელ გაზის მილის დანგრევას შეეცადა.

4 სექტემბერი.

პეტერბურგი. იაკუტსკის გუბერნატორი სკრიპიცინი, მისივე თხოვნის თანახმად დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.—ირკუტსკის გუბერნატორი ბულატოვი დაინიშნა იაკუტსკის გუბერნატორად.

ნიუჩუანი. შაგიშარის ამბავმა უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო.

სოფია. ბოლგარიის მთავრობამ თავის დიპლომატიურ აგენტების შემწეობით სამ დიდ სახელმწიფოს აწვდინა მაკედონიის და ადრიანოპოლის ვილაიეტის ოსმალთა მმართველობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ პროტესტის ნოტა ამაზედ, რომ ეს უკანასკნელნი ბოლგარელებს თვითონაც ხოცვენ და სხვასაც არ უკრძალავენ მათ ხოცვას.

სტამბოლი მეოთხე კორპუსი ერზინკანიდან და მე-5 ბაღდადიდან შინიდან გამოიყვანეს.

სოფია. მთავარი ფერდინანდი მოვიდა.

მარსელი. ჰოსპიტალში ავადმყოფები რჩებიან. ახალი შემთხვევა ამ ავადმყოფობისა არ ყოფილა, ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ შავი ჭირის ნიშნები ვერ აღმოაჩინა. მგზავრებს სამიშრად აღარა სთვლიან.

ვენა. რეიხსრატი 10 სექტემბერს შეიკრიბება და მხოლოდ 1903 წლისათვის ჯარის მოკრეფის კანონს განიხილავს, რომ აღარ განმეორდეს იმ ჯარის-კაცთა დაკავება, ვისაც ვადა უკვე გაუთავდა.

კამიშლოვი. აქ ცეცხლმა 80 სახლი და ბევრი შური სრულიად გაანადგურა.

თეირანი. პირველი მინისტრი სამსახურიდან დათხოვნილ და სპარსეთიდან განდევნილ იქმნა.

სოფია. ცირკულიარულ ნოტას მინისტრ-პრეზიდენტ პეტროვისას ოსმალეთ კომისართან შეკრებების ნოტამ მოუსწრო. ეს ნოტა ამტკიცებს ოსმალთა ბოლგარელებზე ჩადენილ უსამართლობას; მასში აგრეთვე განხილულია ისტორიული განვითარება მაკედონიის კითხვისა. ნოტა შემდეგი სიტყვებით თავდება: „იმის-და მიუხედავად, რომ ოტომანის იმპერიის ბოლგარელებს სდევნიან და სტანჯავენ, მთავრობის მმართველობა იმედოვნებს, რომ პორტა ირწმუნებს მის წრფელობას თავის სუზერენის მიმართ და ბოლგარელებთაგან მიღებულ ზომების კანონიერობას არ უარ-ჰყოფს. ბოლგარეთი არ არის პასუხის-მგებელი ოსმალეთში ატეხილ ამბოხებაზე; დადგა დრო იმ გარემოებათა შეცვლისა, რომელიც, თუ გაგრძელდება, ორივე ქვეყნისათვის ცუდად გათავდება". სოფიის უცხოელთა წარმომადგენლებს ამ ნოტის კოპიები დაურიგდათ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1903 წელს, 12 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ბორანი მდ. მტკვარზე, მუხრანის ქუჩასა და რიყეს შუა.

ვისაც ჰსურს, პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა შეიტანოს ბე 1500 მანეთი. (ნ. 2—2).

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი
და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფერდ. მიულჰენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის, (მც. 10—4)

ქუთაისში

ხამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—222)

სავაჭრო სახლი

ლეოპოლდ ნეიშელლერი

აუწყებს საზოგადოებას, რომ 1 სექტემბრიდან ერევნის მოედანზე, ქალაქის საკრედიტო საზოგადოების სახლში, გაიხსნა

საწყობი რეზინის კალოშებისა

რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურისა და რუსეთისა და საზღვარ-გარეულ დამზადებულ ტყავეულის

ნაწარმოების მყიდველ ამხანაგობისა. (5—147—4)

Дозв. ценз. Тифлисъ 4 Сентября, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)